



კანონპროექტის მიღება გავლენას არ მოახდენს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები;

კანონპროექტის მიღება სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულების აღებას არ ითვალისწინებს. კანონპროექტის მიღება არ ართულებს სახელმწიფო ადმინისტრირების პროცესს (არ ითხოვს ახალი სტრუქტურული ერთეულების ჩამოყალიბებას ან არსებულის გაფართოებას) და შესაბამისად, არ არის დაკავშირებული სახელმწიფოს მხრიდან ახალი ფინანსური ვალდებულებების აღებასთან.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება;

კანონპროექტის მიღება დამატებით ფინანსურ გავლენას არ მოახდენს იმ პირებზე, ვისზეც ვრცელდება მისი მოქმედება. ამასთან, ნებართვის რეგულირების სფეროდან გამოდის შეზღუდული ბრუნვადი მასალების წარმოება, როგორც ნებართვის ცალკეული სახეობა. შესაბამისი პირები აღნიშნული საქმიანობისათვის აიღებენ გარემოზე ზემოქმედების ნებართვას, ვინაიდან წარმოდგენილი საკანონდებლო პაკეტის შემადგენელი „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ“ კანონპროექტით ქიმიური მრეწველობა წარმოადგენს ეკოლოგიურ ექსპერტიზას დაქვემდებარებულ საქმიანობას და ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცედურას და გარემოზე ზემოქმედების ნებართვის აღებას.

ბ.ე) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი);

კანონპროექტით არ ღვინდება ახალი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელი.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან;

კანონპროექტის მიღება არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს;

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან;

კანონპროექტის მიღებით არ წარმოიქმნება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებული ვალდებულებები.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან;

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები.

და) სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია/დაწესებულება, ექსპერტები, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს კანონპროექტის შემუშავებაში, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილეობა აქვს მიღებული ფონდი – „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტს“.

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში;

კანონპროექტი დადებითად იქნა შეფასებული ფონდი – „სამოქალაქო საზოგადოების ინსტიტუტი“-ს მიერ.

დ.გ) კანონპროექტის ავტორი;

კანონპროექტის ავტორია საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტრო.

დ.დ) კანონპროექტის ინიციატორი.

კანონპროექტის ინიციატორია საქართველოს მთავრობა.